ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

G E O R G I A

CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

განკარგულება:**გ-97. 97231515**

თარიღი:**31/05/2023**

ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე განთავსებული 12კვ.მ ფართის უსასყიდლოდ, უზუფრუქტით გადაცემაზე თანხმობის

მიცემის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის ,, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის მე-4-ე და მე-6-ე პუნქტების შესაბამისად ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გადაწყვიტა:

1.მიეცეს თანხმობა ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიას განახორციელოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის პირველ სართულზე განთავსებული 12კვ.მ ფართის დროებით, უსასყიდლოდ, უზუფრუქტით გადაცემა სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურისათვის.

საფუძველი: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 29 მაისის N96-962314929 წინადადება და სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის 2023 წლის 28-აპრილის N-LA02300012939 წერილი.

2.განკარგულება რეაგირებისათვის გადაეგზავნოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიას.

3.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ლენტეხის მაგისტრატ სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი